



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მკითხველის მიერ დაკარგული საბიბლიოთეკო ერთეულების ჩანაცვლებისა და აქტუალური ლიტერატურის განსაზღვრის წესი

I. მოქმედების სფერო

- 1.1. ეს წესები არეგულირებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მკითხველის მიერ დაკარგული საბიბლიოთეკო ერთეულების ჩანაცვლებისა და აქტუალური ლიტერატურის განსაზღვრის წესებს;
- 1.2. მკითხველის მიერ დაკარგული საბიბლიოთეკო ერთეულების ჩანაცვლებისა და აქტუალური ლიტერატურის განსაზღვრის წესი ეფუძნება „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სარგებლობის წესებსა და დებულებას.

II. დაკარგული საბიბლიოთეკო ერთეულების ჩანაცვლების წესი

- 2.1. მკითხველის მიერ დაკარგულად ჩაითვლება საბიბლიოთეკო ერთეული, რომელიც მიღებული ხელმოწერილი დოკუმენტით (მკითხველის ფორმულარი) ირიცხება მკითხველზე და სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ხდება მისი ბიბლიოთეკაში დაბრუნება;
- 2.2. მკითხველის მიერ დაკარგული და სანაცვლოდ მიღებული წიგნებზე დგება ინდივიდუალური მიღება-ჩაბარების აქტი (იხ. დანართი, ფორმა #1) და ხელმოწერით მოწმდება ბიბლიოთეკარისა და მკითხველის მიერ;



2.3. მკითხველის მიერ დაკარგული და სანაცვლოდ მიღებული წიგნების ერთიან აქტს (*იხ. დანართი, ფორმა #2 და დანართი*) ადგენს ბიბლიოთეკის კატალოგიზაციის განყოფილება და ხელმოწერით ადასტურებს საბიბლიოთეკო კომისიის ძირითადი წევრები (*იხ. ბიბლიოთეკის დებულება, პუნქტი 10.4*).

2.4 მკითხველთა მიერ დაკარგული და სამაგიეროდ მიღებული წიგნების ერთიანი აქტის საფუძველს წარმოადგენს ბიბლიოთეკარსა და მკითხველს შორის გაფორმებული ინდივიდუალური მიღება-ჩაბარების აქტი.

III. აქტუალური ლიტერატურის განსაზღვრის წესი

3.1. აქტუალურ ლიტერატურად ჩაითვლება:

3.1.1. ხშირად მოთხოვნადი საბიბლიოთეკო რესურსი, რომელსაც ჯავშნის რიგში ერთი თვის განმავლობაში ელოდებოდა 3 და 3-ზე მეტი მკითხველი;

3.1.2. არის გასაცემად გამოუსადეგარი და დაზიანებული, მაგრამ მოთხოვნადი და არსებობს მისი ახალი გამოცემა;

3.1.3. ახლად თარგმნილი მხატვრული და სამეცნიერო შინაარსის ის ლიტერატურა, რომელსაც არ ფლობს ბიბლიოთეკა და ემსახურება მკითხველის საგანმანათლებლო, კვლევით და კულტურულ განვითარებას.

3.2. აქტუალური ლიტერატურის ნუსხა დგება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ყველა დარბაზის მონაცემთა საფუძველზე (*იხ. დანართი : ფორმა #3*);

3.3 აქტუალური ლიტერატურის ნუსხას ოქმის საფუძველზე ამტკიცებენ საბიბლიოთეკო კომისიის ძირითადი წევრები (*იხ. ბიბლიოთეკის დებულება, პუნქტი 10.4*);

3.4. სიის განახლება ხდება 6 თვეში ერთხელ, მომსახურების განყოფილების ხელმძღვანელის მიერ.

ფორმა #1

მიღება-ჩაბარების აქტი #

ქ.თბილისი

თარიღი

ერთის მხრივ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომელი **სახელი, გვარი** და მეორეს მხრივ ამავე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მკითხველი **სახელი, გვარი, პირადი ნომერი** ვადგენთ აქტს მასზედ, რომ პირველმა მიიღო, ხოლო მეორემ გადასცა



დაკარგული წიგნის/ების სახელწოდება, ავტორი და საინვენტარო ნომერი ნაცვლად შემდეგი ლიტერატურა:

რასაც ვადასტურებთ ორმხრივი ხელმოწერით

მიიღო: /სახელი, გვარი/

ჩააბარა: /სახელი, გვარი

ფორმა #2

დაკარგულის ლიტერატურის ჩანაცვლების შესახებ

აქტი

ქ.თბილისი

თარიღი

წინამდებარე აქტი შედგა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მოქმედი საბიბლიოთეკო დოკუმენტების შემოწმებისა და ჩამოწერის კომისიის მიერ, მასზედ, რომ 201-წელს მკითხველების მიერ დაკარგულია 10 ეგზამპლარი წიგნი, დაკარგულის სანაცვლოდ ბიბლიოთეკაში მიღებულია 18 ეგზამპლარი წიგნი.

სია დაკარგული და სანაცვლოდ მიღებული წიგნებისა აქტს თან დაერთვის, რაზედაც ხელს ვაწერთ:

საბიბლიოთეკო კომისიის ძირითადი წევრები:

1. კომისიის წევრი
2. კომისიის წევრი
3. კომისიის წევრი
4. კომისიის წევრი



ფორმა # 3

აქტუალური ლიტერატურის დადგენის შესახებ აქტი

ქ.თბილისი

თარიღი

წინამდებარე აქტი შედგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მოქმედი საბიბლიოთეკო ძირითადი კომისიის წევრების მიერ მასზედ, რომ 201- წლის - დან -მდე პერიოდში დარბაზების მონაცემთა საფუძველზე დადგინდა 25 დასახელების აქტუალური ლიტერატურა.

აქტს თან ერთვის აქტუალური ლიტერატურის ნუსხა, რაზეც ხელს ვაწერთ:

საბიბლიოთეკო კომისიის ძირითადი წევრები:

1. კომისიის წევრი
2. კომისიის წევრი
3. კომისიის წევრი
4. კომისიის წევრი



ფორმა #2 ის აქტის დანართი

მკითხველთა მიერ დაკარგული და სანაცვლოდ მიღებული წიგნების აღრიცხვა

ცნობები დაკარგული წიგნების შესახებ										
№	ავტორი, სათაური	ინვენტ. ნომერი №	გამოც. წელი	ფასი		მკითხველის გვარი	ავტორი, სათაური	გამოც. წელი	ახალი საინვენტარო ნომერი	ფასი
				ლარი	თეთრი					ლარი
0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1										
2										

კომისიის წევრები:

1. კომისიის წევრი
2. კომისიის წევრი
3. კომისიის წევრი
4. კომისიის წევრი



ფორმა #3- ის აქტის დანართი

აქტუალური ლიტერატურის ნუსხა

#	წიგნის ავტორი	დასახელება	გამომცემლობა	წელი	დარბაზი	არსებული რაოდენობა	საჭირო რაოდენობა	შენიშვნა
1								
2								
3								